# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000048468677617

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 2

31 / იანვარი / 2017 წ.

## განკარგულება

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.

2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ახმეტის მუნიციპალიტეტი

გელა ჯუგაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტი

2017 წლის რეგიონული პროექტები

დანართი №2

| № | პროექტის დასახელება | პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) | მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | მ.შ თანადაფინანსება | პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ახმეტის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | 350000 | 332500 | 17500 | 01.03.2017წ.-01.09.2017წ. | |
| 2 | ქ. ახმეტის №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | 94200 | 89500 | 4700 | 01.03.2017წ.-01.08.2017წ. | |
| 3 | სოფ. ოჟიოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 260000 | 247000 | 13000 | 01.03.2017წ.-01.09.2017წ. | |

საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტი GEORGIA AKHMETA MUNICIPALITY

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ქ. ახმეტის ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია | 724500 | 688275 | 36225 | 01.03.2017წ.- 01.11.2017წ. | |
| 5 | სოფ. ზ. ხოდაშენის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია | 269170 | 255710 | 13460 | 01.03.2017წ- 01.08.2017წ. | |
| 6 | სოფ. ფიჩხოვანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 486000 | 461700 | 24300 | 01.03.2017წ.- 01.09.2017წ. | |
| 7 | ქ. ახმეტაში ობელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია | 142300 | 135100 | 7200 | 15.03.2017წ.- 01.08.2017წ. | |

საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტი GEORGIA AKHMETA MUNICIPALITY

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ: | 2326170 | 2209785 | 116385 | | |